არაფორმალურად დასაქმებული ქალები საქართველოში

საქართველოში 2022 წლის მდგომარეობით არაფორმალური დასაქმება 28,4%-ს შეადგენს და ქვეყნის შრომის ბაზრისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ეს მაჩვენებელი ქალებში 22,5% ხოლო მამაკაცებში - 33,4%-ია. აღნიშნული მონაცემები საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ დათვლილია სოფლის მეურნეობის გამოკლებით.

საქსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, არაფორმალური დასაქმება მოიცავს „არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულებს, რომლებიც თავიანთ სამუშაოზე არ იყვნენ, ან ნაწილობრივ იყვნენ დაცული ფორმალური შეთანხმებებით (არ იხდიდა საშემოსავლო გადასახადს ხელფასიდან; ან/და დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი ყოველწლიური შვებულებით; ან/და დასაქმებულს არ შეეძლო ესარგებლა ანაზღაურებადი საავადმყოფო ფურცლით ავადმყოფობის შემთხვევაში; ან/და დამსაქმებელი არ იხდიდა საპენსიო ფონდში შენატანს), ან განსაზღვრავენ საკუთარი დასაქმების სტატუსს, როგორც ოჯახის საწარმოში/მეურნეობაში დამხმარედ, ან მუშაობენ საწარმოებში, რომლებიც არ არის რეგისტრირებული“.

შესაბამისად, იმისთვის, რომ დასაქმებული არაფორმალურად ჩაითვალოს, საკმარისია კმაყოფილდებოდეს ერთ-ერთი შემდეგი პირობა, დასაქმებული: მუშაობდეს არაფორმალურ საწარმოში, არ იხდიდეს გადასახადებს ან არ ჰქონდეს გარანტირებული შრომის უფლებები.

2003 წელს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შემდგომში შსო) მე-17 შრომის სტატისტიკოსების საერთაშორისო კონფერენციაზე, არაფორმალური დასაქმება განისაზღვრა, როგორც „ყველა ანაზღაურებადი სამუშაო (როგორც დაქირავებით დასაქმება ისე თვითდასაქმება), რომელიც არ არის რეგისტრირებული, რეგულირებული ან დაცული არსებული სამართლებრივი ან რეგულირების ჩარჩოთი, ასევე არაანაზღაურებადი სამუშაო, რომელიც სრულდება შემოსავლის მიმღებ საწარმოში. არაფორმალურად დასაქმებულებს არ აქვთ შრომის ხელშეკრულებები, დასაქმებულთა ბენეფიტები, სოციალური დაცვა, ან დასაქმებულთა წარმომადგენლობის შესაძლებლობა.“

როგორც საქსტატის განმარტებიდან ჩანს, იგი ეყრდნობა შსო-ს მეთოდოლოგიას, უმატებს მას საგადასახადო ადმინისტრირების ნაწილს, მაგრამ განმარტებიდან გამორიცხავს სოფლის მეურნეობას. შესაბამისად, გამოქვეყნებულ სტატისტიკაში არ მოიპოვება ინფორმაცია სოფლის მეურნეობაში არაფორმალური დასაქმების შესახებ.

სექტორებში დასაქმებული ქალების განაწილება ფორმალური და არაფორმალური სტატუსის მიხედვით

საქართველოში ყველაზე მეტად არაფორმალური დასაქმებით გამოირჩევა „შინამეურნეობების, როგორც დამქირავებლის საქმიანობები“, სადაც დასაქმება სრულად არაფორმალურია. შემდეგ მოდის მშენებლობის სექტორი 72,4%-იანი არაფორმალური დასაქმებით და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობები – 50,3%.

ქალ დასაქმებულებს შორის ყველაზე დიდი არაფორმალური დასაქმება ფიქსირდება: შინამეურნეობების მიერ დაქირავებულ პირებს შორის (100%); ადმინისტრაციულ და დამხმარე მომსახურებებში – 53,4%; განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის საქმიანობებში – 53,2%; დამამუშავებელ მრეწველობაში – 45,2%.

ქალების განაწილება ეკონომიკის სექტორებში

მნიშვნელოვანი სხვაობაა სექტორებში სქესის მიხედვით დასაქმებაში. ქალების უდიდესი ნაწილი დასაქმებულია მომსახურებასთან დაკავშირებულ სფეროებში. მათ შორის, ყველაზე მეტი – 29% დასაქმებულია განათლების სექტორში. 18,5% უჭირავს საბითუმო და საცალო ვაჭრობას. შემდეგ მოდის ჯანდაცვა და სოციალური მომსახურებები – 10,8% და დამამუშავებელი მრეწველობა – 7,9%. ყველაზე ნაკლებად კი ქალები დასაქმებული არიან სამთომოპოვებით საქმიანობებში.



ქალების დასაქმების სტატუსი

არაფორმალურად დასაქმებული ქალების 83% დაქირავებითაა დასაქმებული ხოლო 17% თვითდასაქმებულია.

ფორმალურად დასაქმების შემთხვევაში მეტი წილი (91%) უკავია დაქირავებით დასაქმებას, ხოლო თვითდასაქმების წილი მხოლოდ – 9%–ია.

არაფორმალურად დასაქმებული ქალების განაწილება სექტორებში

არაფორმალურად დასაქმებული ქალების ყველაზე დიდი წილი – 28,5% დასაქმებულია საბითუმო და საცალო ვაჭრობაში. ეს სფერო დასაქმებულთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე დიდია საქართველოს ეკონომიკაში. მეორე ადგილზეა დამამუშავებელი მრეწველობა (15,7%), რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ქალების დასაქმების დიდი რაოდენობით არ გამოირჩევა, არაფორმალურ დასაქმებაში მოწინავე პოზიციას იკავებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სექტორში ქალების დასაქმების მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოება. მნიშვნელოვანი წილი უკავია ასევე შინამეურნეობებში დაქირავებით დასაქმებას (14%) და განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფისა და საკვების მიწოდების საქმიანობებს (12,4%), სადაც შედის სასტუმროებისა და რესტორნების საქმიანობა.

. არაფორმალური დასაქმება სქესისა და რეგიონების მიხედვით

აღსანიშნავია, რომ რეგიონების მიხედვით არაფორმალური დასაქმება სქესის ნიშნით გარკვეულ განსხვავებას იძლევა. ქალების შემთხვევაში ყველაზე დიდი წილი არაფორმალურ დასაქმებაში უკავია აჭარას (27,7%), იმერეთსა (26,7%) და ქვემო ქართლის რეგიონებს (25,3%).

კაცების შემთხვევაში კი რეგიონების პირველი სამეული შემდეგნაირად გამოიყურება:
აჭარა (45,6%), კახეთი (42,2%), სამცხე-ჯავახეთი (37%). ყველაზე დაბალი არაფორმალური დასაქმება ქალებს შორის ფიქსირდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში - 13,9%.

არაფორმალურად დასაქმებული ქალებისა და კაცების განაწილება სექტორებში

საქართველოს შრომის ბაზარზე შეინიშნება ეკონომიკურ სექტორებში დასაქმების აშკარა სეგრეგაცია სქესის მიხედვით. ქალების უდიდესი ნაწილი დასაქმებულია მომსახურებასთან და ვაჭრობასთან დაკავშირებულ სექტორებში, ხოლო კაცები უმეტესად ისეთ სფეროებში საქმდებიან, სადაც ფიზიკური შრომაა საჭირო.

შინამეურნეობებში არაფორმალურად დასაქმებულთა 99,3% ქალია, რომლებიც ე.წ. ზრუნვის ეკონომიკის ნაწილი არიან. აქ ძირითადად დასაქმებულები არიან: ძიძები, მომვლელები, დამხმარეები, დამლაგებლები და ა.შ. არაფორმალურ განათლების სექტორში ქალების წილი 85%-ია. 75%-ია ქალი ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებებში. გარდა აღნიშნული სექტორებისა, ქალები უმრავლესობას წარმოადგენენ განთავსების საშუალებით უზრუნველყოფაში (სასტუმროები და რესტორნები), პროფესიულ და სამეცნიერო საქმიანობებში, ადმინისტრაციულ და დამხმარე საქმიანობებში, საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში და სხვა მომსახურებებში.





არაფორმალურად დასაქმებული ქალების განაწილება შემოსავლის მიხედვით (გადასახადების შემდგომ)

საინტერესოა, რომ არაფორმალურად დასაქმებული ქალები გამოიმუშავებენ უფრო ნაკლებს, ვიდრე ფორმალურად დასაქმებულები. სამუშაო ძალის გამოკვლევის მიხედვით, რომელიც ასახავს დასაქმებულების მიერ წინა თვის განმავლობაში მიღებულ ხელზე ასაღებ თანხას, არაფორმალურად დასაქმებული ქალების ანაზღაურებას ყველაზე დიდი განაწილება (80%) ჰქონდა 201-დან 600 ლარამდე შუალედში. რაც შეეხება ფორმალურ დასაქმებას აქ ქალების 78%-მდე ხვდება 201-დან 1500 ლარამდე შუალედში.



საბაზისო განათლების მქონე ქალების არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელი 57,2%-ს შეადგენს. არაფორმალური დასაქმების მაჩვენებელი მცირდება განათლების უფრო მაღალი საფეხურის მიღწევისას. პროფესიული განათლების მქონე ქალებში არაფორმალური დასაქმება 24,6%-მდე მცირდება, ხოლო უმაღლესი განათლების მქონე ქალებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 12,5%-ია.

მიუხედავად იმისა, რომ ქალების რაოდენობამ დაქირავებით დასაქმებულთა შორის კაცების რაოდენობას გადააჭარბა, ქალები გარკვეულ სექტორებში კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილი და უმეტესად ე.წ. ფემინიზირებულ სექტორებში საქმდებიან, სადაც ანაზღაურება შედარებით დაბალია.

უნდა აღინიშნოს, რომ მაღალანაზღაურებად სფეროებში, სადაც უფრო მეტად კაცები არიან დასაქმებული, მაღალია ასევე არაფორმალური დასაქმების წილი. ქალები უფრო მეტად არიან მიდრეკილი ფორმალური დასაქმებისკენ.

ამასთან, ფორმალურად დასაქმებულ ქალებს უფრო მეტი ანაზღაურება აქვთ, ვიდრე არაფორმალურად დასაქმებულებს. აღნიშნული დაკავშირებულია კონკრეტული სექტორების სპეციფიკასთან. სფეროებში, როგორიცაა: ზრუნვის ეკონომიკა, ვაჭრობა, სასტუმროები და კვების ობიექტები, მაღალია არაფორმალური დასაქმების წილი და ამასთანავე, დაბალია ანაზღაურება. ამ სფეროების ფორმალიზაციას შეუძლია გავლენა მოახდინოს ქალების ანაზღაურების ზრდაზე.
განსაკუთრებით პრობლემურ სფეროს წარმოადგენს შინამეურნეობებში დასაქმება, სადაც დასაქმებულთა 99% ქალია და ყველა მათგანი არაფორმალურად მუშაობს. არაფორმალურად დასაქმებულ ქალებს არ აქვთ დაცული შრომის უფლებები და არ აქვთ წვდომა სოციალურ გარანტიებზე, რაც ანაზღაურების სიმცირესთან ერთად მძიმე პირობებს ქმნის

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა
USAID RULE OF LAW PROGRAM

ბიულეტენი მომზადდა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით.

USAID სამართლის უზენაესობის პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით.

ბიულეტენის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს პროფკავშირების გაერთიანება და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებებს.